ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2015 წლის 24 თებერვლის №08/04 ბრძანების

დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება

მუხლი 1. ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია (შემდგომში - ,,კომისია“) მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, ენების შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით.
2. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ ენების შემსწავლელი ცენტრის თანამშრომლები, შესაბამისი უცხო ენის სპეციალისტი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, დარგის მოწვეული ექსპერტები.
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელთა კონკურსი/ატესტაცია ცხადდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

მუხლი 2. კომისიის მიზანი და ფუნქციები

1. კომისიის საქმიანობის მიზანია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პრინციპებისა და წესების შესაბამისად, ენების შემსწავლელ ცენტრში მასწავლებლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის/ატესტაციის ჩატარება.
2. კომისიის ფუნქციებია:
ა) დადგენილი წესით, კონკურსის/ატესტაციის ჩატარება;
ბ) პირის პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და შესაძლებლობების შესაფასებელი პროცედურის წარმართვა;
გ) კონკურსის პირობების, შეფასების ფორმებისა და ჩატარების გრაფიკის განსაზღვრა;
დ) ატესტაციის ჩატარების ფორმების და შეფასების ფორმების განსაზღვრა;
ე) კონკურსის/ატესტაციის შედეგების მიხედვით, თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენა ან მის წარდგენაზე უარის თქმა.

3. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კომისიისათვის კონსულტაციების გაწევის მიზნით, სათათბირო ხმის უფლებით, კომისიის სხდომაზე შეიძლება მოწვეული იყვნენ დამოუკიდებელი სპეციალისტები.
4. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და წევრთა ცალკეული დავალებების შესრულების მიზნით, კომისიის თავმჯდომარემ შესაძლებელია შექმნას კომისიის სამდივნო.
5. კომისიის წევრთა აცილებისა და თვითაცილების საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 3. ატესტაცია

1. ატესტაციის მიზანია უნივერსიტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრულ თანამდებობაზე დასაქმებული ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებლის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, ჩატარებული სამუშაოს პერიოდული შეფასება.
2. ატესტაციას ექვემდებარება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრულ თანამდებობაზე დასაქმებული ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებლები, რომლებსაც აღნიშნული თანამდებობა დაკავებული აქვს კონკურსის/კონკურსების წარმატებით გავლის შემდეგ და რომლის წარმატებით გავლა წარმოადგენს მათთვის ხელშეკრულების გაგრძელების წინაპირობას.
3. კონკრეტული ენის მასწავლებლის/მასწავლებლების ატესტაციას დაქვემდებარების საკითხს (რაც შესაბამისად გულისმობს მისი წარმატებით გავლის შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულების გაგრძელებას) წყვეტს ცენტრის ხელმძღვანელი, მოცემულ პერიოდში კონკრეტულ ენაში საათების არსებობა/ არარსებობის მიხედვით.
4. ატესტაცია შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:
ა) დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება რომელიც ადასტურებს ბოლო 4 წლის მანძილზე მასწავლებლის/მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას და ჩატარებულ სამეცნიერო-მეთოდურ საქმიანობას.
ბ)ტესტირება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პროფესიულ ტესტს და წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრული ფორმით შედგენილ წერილობით ან ელექტრონულ დავალებას;
გ) გასაუბრება, რომლის დროსაც მიიღება ინფორმაცია მასწავლებლის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
დ) საცდელი ლექციის ჩატარება, თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.
5. ატესტაციის შესაბამისი ეტაპის/ეტაპების გამოყენების საკითხს წყვეტს კომისია კონკრეტული ატესტაციის გამოცხადების დროს.
6. ატესტაციის ჩატარების ფორმებს, შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებს, სატესტო მეთოდიკებს, საცდელი ლექციის თემატიკას, მასწავლებლის მიერ დაკავებული თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს კომისია.

7. ატესტაციის ჩატარების პერიოდულობა განისაზღვრება 2 ან 4 წლით ცენტრის ხელმძღვანელის მიერ, რომლის გათვალისწინება ხდება შესაბამის შრომით ხელშეკრულებაში.

მუხლი 4. კონკურსი

1. კონკურსის მიზანია ენების შემსწავლელი ცენტრის საშტატო განრიგით განსაზღვრულ მასწავლებლის ვაკანტურ თანამდებობაზე პირის კვალიფიკაციისა და დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით უნივერსიტეტის ენების ცენტრის მასწავლებლების პერსონალის დაკომპლექტება.
2. კონკურსი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:
ა) განცხადების გადარჩევა, რომელიც წარმოადგენს პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით და სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემოწმება;
ბ) წერითი დავალება, რომელიც შეიძლება ჩატარდეს თავისუფალი ფორმით და შეიძლება მოიცავდეს პროფესიულ საკითხებს;
გ) ტესტირება, რომელიც მოიცავს პროფესიულ ტესტს და წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრული ფორმით შედგენილ წერილობით ან ელექტრონულ დავალებას;
დ) გასაუბრება, რომლის დროსაც მიიღება ინფორმაცია ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კანდიდატის უნარ-ჩვევებზე, პროფესიულ კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე.
ე) საცდელი ლექციის ჩატარება, თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.